

მცირე განმარტება

(პირველად დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი გზა“(1907, N15))

საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვუძღვნა „ჩვენი გზის“ შენიშვნას შესახებ ჩემი პაწია წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ზაკავკაზიე“-ში, და იმედი მაქვს, რომ „ჩვენი გზის“ რედაქცია არ დაიშურებს მცირეოდენ ადგილს ამ სტრიქონებისათვის.

ხსენებულს პაწია წერილში მე განსვენებულს ილიას შევხე არა როგორც მგოსანს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს; არამედ როგორც წევრს თავად-აზნაურთა წოდებისა, და აღვნიშნე, რომ იგი ყოველთვის ებრძოდა ვიწრო ეგოისტურ წოდებრივს მიმართულებს, რომელსაც არ ერიდებოდა დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურობისა. დავასახელე ორი შესანიშნავი ფაქტი. როცა სათავადაზნაურო ბანკის წესდებას ადგენენ, დიდს უმრავლესობას უნდოდა წმინდა მოგება მოხმარებოდა მხოლოდ მემამულეთ, რომელნიც აარსებდენ ბანკს. ილია წინ აღუდგა ამ წადილს და დიდი მეცადინეობის შედეგად მიაღებინა ის აზრი, რომ მოგება ხმარდებოდა როგორც მემამულეთ, ისე მხვნელ-მთესველთა წოდებათა (В пользу землевладельческого и земледельческого сословия, როცა სააზნაურო სკოლას აარსებდენ აქაც ილია ეცადა, რომ სტიპენდიანტებად ინიშნებოდნენ არა მარტო კეთილშობილთა შვილები, არამედ მხვნელ-მთესველებისაც.

ამ ორ ფაქტს ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილმა „თბილ.ლისტოკ“-ში დაუმატა შემდეგი ფრიად დამახასიათებელი შემთხვევა: ბატონყმობის გაუქმების წინად, თავად-აზნაურობამ მოახდინა საზოგადო კრება რომელზედაც თითქმის ყველანი ითხოვდენ თურმე გლეხების გათავისუფლებას უმამულოდ, უმიწოდ. ილია თურმე მედგრად აღუდგა წინ ასეთ აზრსა და მოთხოვა განთავისუფლება გლეხებისა მიწა-წყლით. ამან თურმე მეტად გააბრაზა კრება, ასე რომ ილია კინაღამ დარბაზში ხანჯლით დაჩეხეს, და შემდეგაც თურმე მოსაკლავად დასდევდნენ.

რაც შეეხება ილიას შეხედულებას წოდებათა არსებობაზე, ყოველი მისი ნაწერი, პროზით თუ ლექსით მჭევრ-მეტყველური ღაღადისია ამ არსებობის წინააღმდეგ. დაწინაურებულს ქვეყნებში: ამერიკაში, ავსტრალიას და ახალ-ზელანდიაში წოდება აღარ არსებობს, მოსპობილია, და ჩვენშიაც ასე უნდა მოხდეს მომავალში. ეს კარგად იცოდა ილიამ და სრულიად თანაუგრძნობდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ასე ადვილი არ არის. მაგალითად, ევროპა საზოგადოდ და კერძოდ ინგლისი მეზობელ ქვეყნებზე უფრო დაწინაურებულნი არიან თავისუფლებით და კულტურით. მაგრამ რას ვხედავთ? ინგლისელებმა ძლიერი მეფობა მთლად დააუძლოურეს, მაგრამ ლორდები-კი თავიდან ვერ მოიშორეს, და ისინი დღემდინ მაჯლაჯუნასავით აწვანან გლეხკაცობასაც, მუშებსაც, ბურჟუაზიასაც, ქვემო პალატასაც და თვით მეფესაც. მიუხედავად ამისა, ლორდების

წინააღმდეგ ტერორს არავინა ხმარობს, რადგანაც სრული იმედი აქვთ, რომ მათ მშრალზე გარიყავენ კულტურული ღონისძიებით.

ყველა კარგად ხედავს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა აჩრდილიც არ არის ინგლისის ლორდებისა. მას დაკარგული აქვს ყოველი ძალა და მნიშვნელობა, და მამულიც-კი ხელიდან აქვს წასული. თითქმის მთელი თავისი უძრავი ქონება დაგირავებული აქვთ დიდ ფასად, შემოსავალი ძლივს ასდის სარგებელს, და წინანდელნი დიდნი მესაკუთრენი დღეს უბრალო მოურავების როლს ასრულებენ. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ყველას მდიდარი გვეგონა, არ შეადგენდა გამოკლებას. ორივე მამული კახეთისა და საგურამოსი დაგირავებული ქონდა იმდენ ფასში, რომ შემოსავალი სარგებელს მთლად ვერ იხდიდა, და ბანკს რომ მისთვის პენსია არ დაენიშნა, სიბერის დროს შიმშილს გამოსცდიდა.

ასეთს ყოფაში ჩავარდნილს თავად-აზნაურობას დღენი დათვლილი ჰქონია ყველგან, და ჩვენშიაც იგი ახლო მომავალში გახდება მსხვერპლი უბრალო ევოლუციისა, ან სიცოცხლეს შეირჩენს იმით, რომ მშრომელი ხალხის თანასწორ და ღირსეულ მოძმედ გადაიქცევა. ყოველი ძალმომრეობა, ყოველი ტერორისტული აქტი, გარდა გაფიცვისა და ბოიკოტისა, აქ არამც თუ არ ააჩქარებს ამ ცვლილების და ლიკვიდაციის განხორციელებას, არამედ შეაჩერებს და დაავიანებს, სწორედ ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის ბარბაროსულმა მოკვლამ იგი კი არ დაამცირა, დიდად დაეხმარა მის სახელს, მისს დიდებას, მის გავლენას და უკვდავებას...

პირადად მთელს ჩვენს სიცოცხლეში გულ-წრფელნი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა, და ყოველგვარი ბატონობისა გვძულდა და ვეწინააღმდეგებოდით მას: გვძულდა ბატონობა თავად-აზნაურობისა, ბიუროკრატის, ბურჟუაზიისა... მშრომელის ხალხის სრულს განთავისუფლებას-კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და, რაც-კი შეგვეძლო ვეხმარებოდით. ჯერ ისევ ოც-და-ხუთის წლის წინად, სახელდობრ 1881 წელს, აპრილის თვეში გაზეთ „დროება“-ში ჩვენ დავსტამბეთ ორი მოწინავე წერილი, სადაც გავატარეთ ის აზრი, რომ ვიდრე მიწა სავსებით არ გადავა მხვენელ-მთესველთა ხელში, ზავოდები, ფაბრიკები მუშათა ხელში კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილდღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლება მეთქი, და დარჩება ახლანდელი აუტანელი მდგომარეობა, როდესაც მცირე ნაწილი კაცობრიობისა ჰყარს სიმდიდრისაგან და უმრავლესობა სიღატაკისაგანაო...“ ეს უკანასკნელი აზრი, მეტ-ნაკლებობით მართალი ოც-დახუთის წლის წინათ მმართველების შესახებაც, ახლა საფუძველს არის მოკლებული, რადგანაც სიმდიდრით ჩვენში ეხლა თითქმის აღარავინა ჰყარს, და ყველას სიღატაკის ნატისუსალი ასდის.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

არგვეთის საჯარო სკოლის 10-ე კლასის მოსწავლემ, **ლედი კიპაროიძემ**

